ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

2011/2012 სასწავლო წელი

**ფაკულტეტი** - პედაგოგიური

**კათედრა** – პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, მეთოდიკების

**სალექციო კურსის (საგნის) დასახელება და მისი კოდი:**

განვითარების ფსიქოლოგია P.2.F.04

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო-არჩევითი მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

**კრედიტების რაოდენობა:** 5 ECTS

**საკონტაქტო საათები:** ორშაბათი, სამშაბათი 14სთ-დან 15სთ-მდე.

**ლექტორი:** ასოც: პროფესორი ნინო ბასილაშვილი; ტელ: 558-48-44-22

**სალექციო კურსის აღწერა:** " განვითარების ფსიქოლოგია" წარმოადგენს სავალდებულო-არჩევით სალექციო კურსს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის განათლების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. ესაა სალექციო კურსი რომლის ფარგლებშიც მაგისტრები სწავლობენ განვითარების ფსიქოლოგიას. სალექციო კურსის ხანგრძლივობაა ერთი აკადემიური სემესტრი. კვირაში 2 სააუდიტორიო შეხვედრა (ლექცია და ჯგუფში მუშაობა). ე.ი. სულ 125 საათი. აქედან, 30 სთ სტუდენტებისა და ლექტორის საკონტაქტო საათებია, ( კვირაში 1 ლექცია, 1 სემინარი) ხოლო დანარჩენი 95 სთ – სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის წილია. ninojashiashvili@mail.ru

**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანები:** სალექციო კურსის მიზანია სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების შესწავლა და დადგენა. მისი ამოცანაა სწავლების პროცესში ბავშვთა გონებრივი განვითარების პირობების დადგენა. მისი ამოცანაა ფსიქიკური პროცესების ასაკობრივი თავისებურებების, ცოდნისა და ჩვევების შეთვისების ასაკობრივი შესაძლებლობების, პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების წამყვანი ფაქტორების დადგენა. თითოეული ასაკობრივი პერიოდი ხასიათდება განვითარების სპეციფიკურ კანონზომიერებათა ერთობლიობით, რომლის შესწავლა უნდა მოხდეს

კომპლექსურად მოცემული კონკრეტული პერიოდის სპეციფიკური ახალწარმონაქმნის კანონზომიერებათა დასადგენად.

**პრერეკვიზიტი:** ზოგადი ფსიქოლოგია

**სალექციო კურსის შედეგი**: “განვითარების ფსიქოლოგიის” შესწავლის შედეგად სტუდენტები იღებენ გარკვეულ ცოდნას ბავშვის განვითარების თავისებურებებზე, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს ამ განვითარების (ასაკობრივი) თავისებურებების გათვალისწინებით ნორმალურად წარმართოს სწავლის პროცესი. კურსის გავლის შედეგად სტუდენტებს განუვითარდებათ აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი, კვლევის სათანადო დონეზე წარმართვის უნარი, კრიტიკული აზროვნების უნარი.

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა განვითარების ფსიქოლოგიაში | ფლობს ღრმა ცოდნას სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების შესახებ, სწავლების პროცესში ბავშვთა გონებრივი განვითარების პირობების დადგენის შესახებ. აქვს ცოდნა ბავშვის ფსიქიკური პროცესების ასაკობრივი თავისებურებების, ცოდნისა და ჩვევების შეთვისების ასაკობრივი შესაძლებლობების, პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების წამყვანი ფაქტორების შესახებ. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | შეუძლია კურსის შესაბამისი ფსიქოლოგიური კვლევების შედეგების დახასიათება. ფლობს კონკრეტული მიზნის მქონე ფსიქოლოგიური დაკვირვების ჩატარების ტექნიკას და შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში მისი დაგეგმვა და განხორციელება. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლიათ ეფექტური კომუნიკაცია | შეუძლიათ კოლეგებთან პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. |
| სწავლის უნარი | შეუძლია ამ სფეროში საკუთარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება | შეეძლებათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება და დამუშავება, მოვლენების არსის განსაზღვრა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა, პრეზენტაციის მომზადება და წარმოდგენა |
| დასკვნის უნარი | შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და | მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია წარმოქმნილ პრობლემის მიზეზების გააზრება და საკუთარი დასკვნების გამოტანის საშუალებით პრიორიტეტების განსაზღვრა. |

| | | |
|---|---|---|
| | ანალიზი | |
| ღირებულებები | ექნება საგანმანათლებლო სფეროში არსებული ფასეულობების გააზრებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი. | იცავს და აფასებს ბავშვებთან დამოკიდებულების ითიკურ ნორმებს. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია.
მოთხოვნები: სტუდენტთა დასწრება სავალდებულოა როგორც ლექციებზე, ასევე სემინარებზე. თუ სტუდენტი ხელს შეუშლის ლექციის ან სემინარის მსვლელობას ის გათავისუფლდება ლექციიდან ან სემინარიდან. მთელი სემესტრის მანძილზე თუ სტუდენტი არ ივლის ლექცია სემინარებზე და არ მიიღებს მონაწილეობას შუალედურ ტესტირებაზე იგი ავტომატურად შეფასდება 0 ქულით .

**სალექციო კურსის სტრუქტურა**

**I კვირა**

განვითარების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები. ბავშვის ფსიქიკური განვითარების ფაქტორები და განმსაზღვრელი პირობები. ბავშვის ფსიქოლოგიური მზაობა სასკოლო ცხოვრებისათვის.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი". გვ.14 44.

**II კვირა**

ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაციის პრობლემა. ფსიქო-ფიზიკური განვითარების აქსელერაცია.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ.59-75

**III-IV კვირა**

პიროვნების განვითარება უმცროს სასკოლო ასაკში. ძნელადაღსაზრდელობის თავისებურებანი უმცროს სასკოლო ასაკში.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ.133-158

**V-VI კვირა**

გარდამავალი ასაკის მოზარდის სასწავლო საქმიანობა და კოგნიტური განვითარება.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ.190-224

**VII-VIII კვირა**

პიროვნების განვითარება გარდამავალ ასაკში.

შუალედური წერა.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ.224-260.

**IX კვირა**

მოთხოვნილებები გარდამავალ ასაკში. ამხანაგობა და მეგობრობა გარდამავალ ასაკში.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ.282-317

**X კვირა**

ძნელი მოზარდები. პროფესიის არჩევა გარდამავალ ასაკში.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ.333-340

**XI –XII კვირა**

უფროსკლასელთა ანატომიურ ფსიქოლოგიური თავისებურებანი. უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობა და შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ.(2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ353-360.

**XIII კვირა**

პიროვნების განვითარება უფროს სასკოლო ასაკში. ადრეულ ჭაბუკთა მეგობრობა.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ361-386.

**XIVკვირა**

უფროსკლასელთა გრძნობები და ემოციები.

შუალედური წერა

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ.387-392.

**XV კვირა**

პროფესიის არჩევა უფროს სასკოლო ასაკში. მოზარდთა და ჭაბუკთა დევიაციური ქცევები.

ძირითადი ლიტერატურა:

გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი. გამომცემლობა "უნივერსალი" გვ427-450.

**სტუდენტის შეფასების სისტემა:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები, და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1)შუალედური წერა მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);ჩატარდება მერვე და მე-12 კვირის ბოლოს.

2) ზეპირი გამოკითხვა მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა) ჩატარდება ოთხჯერ. ორი გამოკითხვა ჩატარდება პირველი რვა კვირის განმავლობაში, შემდეგი ორი კი მეორე შვიდი კვირის განმავლობაში.

3) ზეპირი პრეზენტაცია მაქსიმუმ 10 ქულა. სტუდენტი ირჩევს საპრეზენტაციო თემას და წარმოადგენს ნებისმიერ დროს, პრეზენტაცია ფასდება შემდეგი ქულებით:

თემის გასაგებად წარმოდგენა- მაქსიმუმ 4 ქულა

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა- მაქსიმუმ 4 ქულა

ვიზუალური საშუალებების გამოყენება- მაქსიმუმ 2 ქულა

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.

II. დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა – 40 ქულა

შენიშვნა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.

კრედიტი ენიჭება სტუდენტს 51 ქულაზე. გამოცდის ხანგრძლივობაა 2 საათი.

თითოეული მოთხოვნის შესრულების დროსთან დაკავშირებით სტუდენტი წინასწარ გაფრთხილდება.

შუალედური მუშაობისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამების შემდეგ, სტუდენტს

მიენიჭება დადებითი შეფასებები:

A (ფრიადი) _91 ქულა და მეტი

B (ძალიან კარგი) _81-90 ქულა

C (კარგი) _71-80 ქულა

D (დამაკმაყოფილებელი) _61-70 ქულა

E (საკმარისი) _51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებები: FX (ვერ ჩააბარა) ეძლევა დამატებით გასვლის უფლება _41-50

ქულა

F (ჩაიჭრა) ახლიდან აქვს შესასწავლი _40 ქულა და ნაკლები.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1.თ გოგიჩაიშვილი, თ. (2005) *განვითარების ფსიქოლოგია.* თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი"